აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ.ბათუმი

25.02.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
რომან ბოლქვაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
ვალერი ბერაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
პარმენ ჯალაღონი	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ვახტანგ წულაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;
კახა შაშიკაძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
დემურ დიასამიძე	- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის მდივანი	- ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გურამ სალაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს უფროსი;

გიორგი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

დავით დუმბაძე - ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ტარიელ ებრალიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ბესიკ ბაუჩაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი" ბათუმის ფილიალის დირექტორი;

ლევან გობაძე - ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"-ს გამგეობის თავმჯდომარე;

გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM"-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

დღის წესრიგი:

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ აჭარის მთავრობის ინიციატივის განხილვა.

მოსმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის რამაზ ბოლქვაძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა საბიუჯეტო რესურსებით თანადაფინანსების პირობებში და ტურისტული ბიზნესით დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა და შესაბამისი საბანკო ორგანიზაციის ნებაყოფლობითობის პრინციპებზე დაყრდნობით თანამშრომლობას. განმარტებული იქნა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები, რომელთა საქმიანობაც ჩაითვლება ტურისტულ ბიზნესად. სამთავრობო ინიციატივის საფუძველზე შემუშავდება „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის" პროგრამა, რომლის განმახორციელებელი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე ბანკის შერჩევას კონკურსის წესით. კონკურში მონაწილეობისათვის ბანკს უნდა შეეძლოს პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართათვის 6 000,0 ათასი ლარის ოდენობით საკრედიტო რესურსის გამოყოფა, უზრუნველყოს პროგრამაში მონაწილეობის მსურველ ბენეფიციართა შერჩევა, ამასთანავე, გამარჯვებული ბანკის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ბენეფიციართათვის მაქსიმალურად დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთის შეთავაზება და მათთან შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში გაფორმების ვალდებულება, იმ პირობით, რომ ბანკის წინაშე ბენეფიციარის ფულადი ვალდებულების წლიური საპროცენტო განაკვეთის არანაკლებ 3% დაფინანსდება ბენეფიციარის მიერ, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთის დარჩენილი წილი დაფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 წლით მისი ძალაში შესვლის დღიდან.

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

ნათია აფხაზავამ გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და მასში მონაწილე ბენეფიციარების საქმიანობის (ტურისტული ბიზნესის სფერო) დაკონკრეტების ნაცვლად იყოს ან ზოგადი ჩანაწერი ან დაკონკრეტების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს სხვაც.

ლევან გობაძე დაინტერესდა სესხების გაცემასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესახებ. ასევე გულისხმობს, თუ არა ეს პროგრამა იმ იპოთეკარების სესხის გადაფარვას, რომლებსაც ქობულეთში შეექმნათ პრობლემები ტურისტულ სეზონთან დ კავშირებით.

რომან ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, 6 000,0 ათასი ლარის საკრედიტო რესურსის მოცულობის შესახებ.

ვალერი ბერაძემ გამოთქვა მოსაზრება, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული პროგრამით სპორტული ობიქტების მშენებლობის დაფინანსება, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმთან.

ვახტანგ წულაძემ დასვა შეკითხვა, შესაძლებელია თუ არა დაფინანსდეს პროგრამით ხელოვნური ტბის მოწყობა ტურისტული სეზონის პერიოდში თევზჭერისათვის.

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ განმარტა, რომ საკრედიტო რესურსის მოცულობა განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასახდელი საპროცენტო თანხის ოდენობით მიმდინარე პერიოდისათვის არსებული თავისუფალი რესურსიდან გამომდინარე. სხვადასხვა ობიექტის მოწყობისა და დაფინანსების საკითხი პროგრამის შემუშავებისას მომდევნო ეტაპზე იქნება განსზღვრული. ხოლო რაც შეეხება, სესხების გაცემასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებსა და იმ იპოთეკარების სესხის გადაფარვის საკითხს, რომლებსაც შეექმნათ პრობლემები, ამ მიმართულებით გადაწყვეტილებებს მიიღებს კონკურსის წესით გამარჯვებული საბანკო დაწესებულება.

ასევე დემურ დიასამიძემ გამოთქვა მზადყოფნა ზემოაღნიშნული პროგრამის შემუშავებისას აქტიურ მონაწილეობაზე.

მსჯელობის შედეგად კომისიამ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს სამთავრობო ინიციატივა „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის“ პროგრამის შემუშავების შესახებ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარედგინოს „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

პარმენ ჯალაღონია

ვახტანგ წულაძე

კახა შაშიკაძე

დემურ დიასამიძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

ლევან გობაძე

გიორგი შალამბერიძე

გურამ სალაძე

გიორგი რომანაძე

დავით დუმბაძე

ტარიელ ებრალიძე

ბესიკ ბაუჩაძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე